”ტავრიასთან” – 3:0

სიმფეროპოლი. ”ლოკომოტივის” სტადიონი. 11 ივნისი.

”ტავრია” (სიმფეროპოლი) – ”დინამო” (თბილისი) 0:3 (0:1).

”ტავრია”: იურკოვსკი, ტუნიკი, ბერეჟნოი (სინელნიკი), უმრიხინი, ზვიაგინცევი, შუდრიკი, სიროვატსკი, სერებრიანსკი (პეტროვი), მალიშენკო, ნაუმენკო, კოროლიოვი.

”დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (ცავა), სვანაძე (ანდღულაძე), სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

მსაჯი: ა. შევჩენკო (მოსკოვი).

მატჩს დაესწრო 27.100 მაყურებელი.

დუბლიორები - 0:1. მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა მუჯირმა.

”ტავრია” და თბილისის ”დინამო” საკავშირო ჩემპიონატში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, სიმფეროპოლელებმა სცადეს ეს ”ნაცნობობა” თავიანთი უპირატესობით წარემართათ, რამდენიმე იერიში განახორციელეს თავიდანვე და სწორედ მაშინ, როცა მასპინძლები ამ იერიშებს ავითარებდნენ, მე-7 წუთზე შენგელიამ მიიღო გადაცემა, სწრაფად გადააწოდა სულაქველიძეს და ამ უკანასკნელმა დაბალი ბურთი გაგზავნა ”ტავრიის” კარში - 1:0.

მასპინძლები განაგრძობდნენ აქტიურ თამაშს, მაგრამ დინამოელები მათ სჯაბნიდნენ კლასით, მობილიზებულად თამაშობდნენ დაცვაში, მოწოდების სიმაღლეზე იდგა მეკარე გაბელია. ხოლო გუცაევი, შენგელია, კაკილაშვილი და სხვანი სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მეტოქის კართან.

56-ე წუთზე დარასელიას გარღვევის შემდეგ ბურთი მიიღო კაკილაშვილმა და საუკეთესოდ გამოიყენა კარის აღების შესაძლებლობა - 2:0.

”ტავრია” კიდევ რამდენჯერმე შეეცადა გამოესწორებინა მდგომარეობა. მაგრამ როცა 78-ე წუთზე შენგელიამ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი მესამედ გაგზავნა მეტოქის კარში, ყველაფერი ნათელი გახდა. თბილისის ”დინამომ” საუკეთესოდ ჩაატარა ეს მატჩი და თავის აქტივს დიდი ანგარიშით გამარჯვება შემატა.

”ლელო”, 13 ივნისი 1981 წ.